სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

12.03.2009 № 29

დოქტორანტურის, სწავლების პირველი წლის
პირველი სემესტრის სასწავლო განრიგის
შესახებ.

1. დოქტორანტურის, სწავლების პირველი წლის პირველი სემესტრი დაიწყოს 2009 წლის 11 მაისს და დასრულდეს 11 სექტემბერს, წყვეტით საზაფხულო არდადეგებზე 2009 წლის 31 ივლისიდან 23 აგვისტოს ჩათვლით.
2. საგამოცდო სესიები ჩატარდეს 2009 წლის 12 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით
3. სასწავლო პროცესი წარიმართოს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის" შესაბამისად
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სტუ-ს რექტორის მ/შ ბრძანება №9 (21.01.09) პუნქტი 4 მთლიანად ხოლო რექტორის მ/შ ბრძანება №4 (14.01.2009)-ის პუნქტები. 2, 3, 4 და დანართი 1 მხოლოდ დოქტორანტურის სწავლების პირველ წელთან მიმართებით ნაწილში..
5. საფაკულტეტო დროებითი კომისიების დოკუმენტაციის განხილვის ორგანიზება დაევალოს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს პროფ. ს. ესაძეს
6. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოიკრას ადმინისტრაციულ კორპუსსა და ყველა ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას

საფუძველი: სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ს.ესაძის მოხსენებითი ბარათი, საფაკულტეტო დროებითი კომისიების მუშაობის შესახებ. №76-01-70 (10.03.2009)

რექტორი პროფესორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი პროფესორი ს.ესაძე

სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის
უფროსი პროფესორი ი.ლომიძე

სტუდენტური თვითმმართველობის
პრეზიდენტი თ.დუნდუა

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ.მაისურაძე